# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 მაისი, სამშაბათი, 1990 წ.
№82 (10 251) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან




თბილისის „ბურევესტნიკის" გუნდი, რომელმაც 1990 წელს წარმატებით იასპარეზა I ლიგაში და უმაღლესი ლიგის საგზური მოიპოვა.

ვარლამ გენგიურის ფოტო.

# მომავალ სეზონში — უმაღლეს ლიგაში

**გათამაშების** ყოფილ ერთპიროვნულ ლიდერს ბროვარის „სტროიტელს", ცხადია, არ სურდა ორივე მატჩში დამარცხებულიყო დონეცკის „შახტიორთან", მით უფრო წინა შეხვედრაში კურიოზული დამარცხების შემდეგ, როდესაც მთელი თამაშის განმავლობაში წინ იყო და ბოლო წუთებზე დაუთმო მეტოქეს უპირატესობა. ამჯერად მან შეასრულა დასახული მიზანი და გაიმარჯვა — 25:21.

თბილისის „ბურევესტნიკის" მოთამაშეები კი სარბიელზე აშკარად მხნედ გამოვიდნენ. თამაშის წინ მათთან საუბარში უკვე იგრძნობოდა, რომ ისინი გამარჯვებისათვის იყვნენ განწყობილი, გამარჯვება კი მათ გზას უხსნიდა უმაღლესი ლიგისკენ, ყოველგვარი გადათამაშების გარეშე. გუნდის რამდენიმე წევრი თავს შეუძლოდ გრძნობდა და ცოტა არ იყოს, ეჭვის ჭიაც შეგვიჯდა, როგორ ითამაშებდნენ ისინი ამ დღეს?

მიუხედავად ტრავმისა, თბილისელთა კაპიტანი გ. დემეტრაშვილი საკმაოდ აქტიურად ჩაება თამაშში. აქვე უნდა ითქვას, ასევე ჩვენი მეკარისა და დაცვის კარგ თამაშზეც. მათი დამსახურებაა, რომ პირველ ტაიმში მეტოქემ მხოლოდ რვა ბურთის გატანა შეძლო.

შეხვედრის პირველი ნახევარი თბილისელ ხელბურთელთა გამარჯვებით დამთავრდა — 15:8. შესვენების შემდეგ ორივე გუნდის მოთამაშეებმა უფრო მოუმატეს ტემპს და შეხვედრამ მეტი სიმძაფრე შეიძინა. აგრესიულად თამაშობდა ვ. ჟუკი, რომელმაც მეტოქის კარში ზედიზედ სამი ბურთი გაიტანა. ამ მონაკვეთისთვის ლვოველებმა ისლა მოახერხეს, ერთი ბურთით შეემცირებინათ სხვაობა ანგარიშში. მოკლედ, თამაშის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. ჩვენმა მოთამაშეებმა თავს ნება მისცეს ცოტათი მოედუნებინათ ყურადღება და შეხვედრის ბოლო წუთები შედარებით დაბალ ტემპში წარიმართა. საბოლოოდ გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ — 25:21. ამ წარმატებამ თბილისელ ხელბურთელებს ვადამდე გაუნაღდა უმაღლესი ლიგის საგზური.

ტურის ბოლო დღეს ყველაფერი გარკვეული იყო. მხოლოდ ლვოველი ხელბურთელები იბრძოდნენ მეოთხე ადგილისთვის. ასკ-სა და დონეცკის „შახტიორის" შეხვედრა საინტერესოდ მიმდინარეობდა. დონეცკელ ხელბურთელებს ფინიშის სწორზე აღარ ეყოთ ძალები და ამ შეხვედრაშიც დამარცხდნენ — 30:31.

უმაღლესი ლიგის საგზურის მფლობელის ვინაობა, მართალია, გარკვეული იყო, მაგრამ ბროვარის „სტროიტელი" თბილისის „ბურევესტნიკთან" რევანშის წყურვილით გამოვიდა მოედანზე. ქართველმა ხელბურთელებმა მიიღეს გამოწვევა, ამასთან მწვრთნელმა გიორგი ბერიაშვილმა ახალგაზრდა ხელბურთელებსაც მისცა თამაშის საშუალება. ასე რომ, გუნდის შემადგენლობაში ვიხილეთ ვ. მეიფარიანი, რ. სივოპლიასოვი, რომლებმაც არ გააწბილეს მაყურებელი და კარგი თამაში უჩვენეს, მიუხედავად ბროვარელ ხელბურთელთა დიდი მცდელობისა, მათ ვერაფერი გააწყვეს ჩვენს გუნდთან და გამარჯვება კვლავ თბილისელ ხელბურთელებს დარჩათ — 28:27 (15:14). აქ ისიც გვინდა ვთქვათ, რომ საბოლოო ანგარიში სრულად ვერ გამოხატავს იმ უპირატესობას, რაც თბილისელებს ჰქონდათ მთელი თამაშის მანძილზე. გოლები მინიმალურ სხვაობამდე ბოლო წუთებზე შემცირდა.

სამწუხაროდ, ამჯერად მაყურებელთა რაოდენობა დარბაზში ძალზე მცირე იყო. მომავალში, ვფიქრობთ, ტრიბუნებზე გულშემატკივართა რიცხვი გაიზრდება და აქტიურადაც დაუჭერენ მხარს ჩვენს გუნდს, რომელიც, უნდა ვთქვათ, აღმავლობის გზაზეა, ეტყობა, კოლექტივმა გაიარა თაობათა ცვლის მტკივნეული პროცესი. იმედი გვაქვს, რომ მომავალში უფრო დიდი მიზნების მიღწევაზე ვიფიქრებთ.

ბევრი მილოცვა მიიღეს თბილისელმა ხელბურთელებმა. მათ წარმატება მიულოცა ხელბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ნიკა ცხაკაიამ, ულოცავდნენ ვეტერანი ხელბურთელები. შედეგით უკმაყოფილო არავინ დარჩენილა, ყველამ აღნიშნა პროგრესი, რომელიც ემჩნევა ჩვენს გუნდს.

ტურის ბოლოს თბილისელთა მთავარ მწვრთნელს გ. ბერიაშვილს ვთხოვეთ რამდენიმე სიტყვა ეთქვა გუნდის შესახებ:

— სეზონის დაწყებიდანვე, მოგეხსენებათ, ლიდერთა ჯგუფში ვიყავით. შემადგენლობა გუნდში უკვე სტაბილურია, ამასთან ბევრი პერსპექტიული სპორტსმენიც გვყავს. ასე რომ, მოთამაშეთა შორის იზრდება კონკურენცია, ეს ტურიც, როგორც ნახეთ, ჩვენმა გუნდმა ძლიერად ჩაატარა და მერმისს უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს, რა თქმა უნდა, ბევრს გვავალებს, საჭიროა უკეთ მომზადება და სათამაშო კლასის კიდევ უფრო ამაღლება, რათა დავიბრუნოთ ის ტრადიციები წლების მანძილზე რომ ჰქონდა ჩვენს გუნდს.

ვულოცავთ თბილისის „ბურევესტნიკს" წარმატებას და ვიმედოვნებთ, მომავალში კიდევ მრავალჯერ გაგვახარებენ წარმატებებით.

**ბია ბურდული.**

# ოცდაერთი — რკალზე

**ქალაქის** ქუჩებში შეჯიბრების ჩატარება ყველგან და ყოველთვის სპორტის პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. ამ დროს ასპარეზობა თვითონ ხდება ქალაქის ნაწილი, ბევრი მოქალაქე კი — ნებითი თუ უნებლიე მაყურებელი.

მძლეოსნური გარბენები და ამანათრბენები თბილისში პევრჯერ ჩატარებულა, ისინი, როგორც წესი, რომელიმე საბჭოურ „დღესასწაულს" ემღვნებოდა ხოლმე, მაგალითად, კონსტიტუციის დღეს, რომელიმე მაისის ზეიმს და ა. შ. ახლა კი თითქმის ყველამ იცის (და ამბობს კიდეც), რომ მხოლოდ კალენდრის გაწითლებით არ შეიძლება სადღესასწაულო განწყობა გამოიწვიო ხალხში.

უფრო ამიტომ ჩატარდა გუშინ ტრადიციული ამანათრბენი „თბილისის რკალი" და არა ერთი დღის შემდეგ — პირველ მაისს. ეს ერთდღიანი ალტერნატივა, მინიშნებით მაინც, ძველი „ზეიმის" უარყოფასაც გულისხმობდა. ახლა ეს ასპარეზობა, უბრალოდ, თბილისში საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნას მიეძღვნა.

აკი ვთქვით, ასეთი ასპარეზობა მცირე ხნით მაინც ქალაქის ცხოვრების შემადგენელი ნაწილი ხდება და მის ზოგ ნიუანსსაც ალიბეჭდავს ხოლმე. და მაინც ახლანდელი მდგომარეობის პირობაზე სტარტზე — ფილარმონიის წინ — თავი მოიყარა 21 გუნდმა და ამანათრბენი საკმაოდ ხალხმრავალი გამოდგა. ქალაქის ავტოინსპექცია, მსაჯებიც ფხიზლად იყვნენ და მთელ დისტანციაზე (და ეს თბილისის არც ისე უხიფათო ქუჩებია) ყველაფერი რიგზე იყო.

შეჯიბრების უცვლელი ფავორიტი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდია, მაგრამ პირველ ეტაპებზე იგი „ჩრდილში იყო" — თავიდან დაწინაურდნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მორბენლები. აქვე ვიტყვით, რომ ფავორიტმა შუა დისტანციაზე „გამოიჩინა კლანჭები", მანამდე კი დამაჯერებლად ლიდერობდა პოლიტექნიკური ტექნიკუმის ნაკრები. სპორტის ცნობილი სპეციალისტისა და ენთუზიასტის ნუხა გაგოშიძის მიერ მომზადებულმა ამ გუნდმა დიდი ბრძოლა გაუმართა სტუდენტთა აღიარებულ კოლექტივს (სხვათა შორის, თბილისის სპორტკომიტეტი თვითონ ნ. გაგოშიძეს ამ ასპარეზობაზე ტრადიციულად მთავარ მსაჯად იწვევს — იციან მისი კვალიფიკაციისა და მონდომების ამბავი).

მთელი რკალი 21 ეტაპად იყო დაყოფილი. მესამე ეტაპამდე, როგორც უკვე ვთქვით, წინ უნივერსიტეტელები იყვნენ, შემდეგ მორბოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური ტექნიკუმის მძლეოსნები. ეს უკანასკნელნი მეოთხე ეტაპიდან დაწინაურდნენ და მერე, ბოლო 5 ეტაპამდე, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევდნენ უკვე ლიდერთა შორის „გამოჩენილ" ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტებს.







მძლეოსნობაში ფინიში დიდად ფასობს და აშკარად გაამართლა ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა მანევრმა, მათ ბოლო ეტაპზე რამდენიმე ძლიერი მორბენალი გამოიყვანეს და აქ მოიპოვეს ის გადამწყვეტი უპირატესობა, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა. მათ დისტანცია (გმირთა მოედნისკენ, შემდეგ დავით აღმაშენებლის გამზირის გავლით „დინამოს" საჩოგბურთო კორტებისკენ, შემდეგ მონაწილენი პუშკინის ქუჩით რუსთაველის პროსპექტზე ამოიჭრნენ და ისევ ფილარმონიის წინ დაამთავრეს რბენა) 18 წუთსა და 39 წამში დაფარეს. ძალიან იყოჩაღეს პოლიტექნიკური ტექნიკუმის მოსწავლეებმა, რომლებმაც აჯობეს თბილისის ორივე უნივერსიტეტის გუნდებს. მათი შედეგია 19.16,0. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა მესამე ადგილი დაიკავეს — 19.30,0, მეოთხეზე გავიდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის მძლეოსნები — 20.05,0, მეხუთეზე — 26 კომისრის რაიონის მოსწავლეები — 20.24,0.

ცალკეული ჯგუფების მიხედვით საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

**I ჯგუფი: უმაღლესი სასწავლებლები.** 1. ფიზკულტურის ინსტიტუტი; 2. სახელმწიფო უნივერსიტეტი; 3. ტექნიკური უნივერსიტეტი.

**II ჯგუფი: ტექნიკუმები.** 1. პოლიტექნიკური, 2. ფიზკულტურის, 3. მანქანათმშენებლობის.

**III ჯგუფი: რაიონები.** 1. 26 კომისრის რაიონი, 2. გლდანის რაიონი, 3. ოქტომბრის რაიონი.

საწარმოთა სპორტკლუბებიდან მხოლოდ „შევარდენმა" გამოიყვანა გუნდი.

**გიორგი პავლიაშვილი.**

* * *

**დიდი** სპორტული ტრადიციების ქალაქია თბილისი. მის მკვიდრთ ემახსოვრებათ მათ ეზოებში გვიანობამდე გაჩაღებული ლახტი, ქართული ჭიდაობისა და კრივის „ჩემპიონატები". ამ მხრივ, ყველაზე გამორჩეული უბანი რიყე ყოფილა. თურმე, ნუ იტყვით და, მუხრანის ხიდიდან პირდაპირ მტკვარში ხტებოდნენ გულადი რიყელები.

ამიტომ ნიშანდობლივია, რომ თბილისის სპორტკომიტეტის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, რომელსაც მსოფლიო ჯანმრთელობის დღესა და საზაფხულო სპორტული სეზონის გახსნას მიეძღვნა, სწორედ რიყეზე დასრულდა.

მანამდე კი სახელმწიფო ფილარმონიასთან გაიმართა ტრადიციული ამანათრბენი „ქალაქის რკალი".

ამის შემდეგ ქალაქურმა სპორტულმა ზეიმმა რიყეზე გადაინაცვლა. აქ გვიანობამდე ისმოდა ქართული საჭიდაო. მსაჯი კი აცხადებდა გამარჯვებულებს: ჩიტიშვილი, პოპოვი, ქუთათელაძე, არუთინოვი...

იქით გრძელი რიგი იდგა. 12 დაფაზე ერთდროული თამაშის სეანსს ატარებდა ქალაქის ოთხგზის ჩემპიონი ლელა თანდაშვილი, რომელმაც 11 პარტია მოიგო, ხოლო ერთი ყაიმით დაამთავრა ტყემალაძესთან.

ბაგირის გადაძალვაში ცდიდნენ ძალებს თბილისელები...

მეტეხზე კი მეკლდეურები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს კლდეზე ცოცვაში. 26 კომისრის რაიონის სპორტკლუბში ჩატარდა ასპარეზობა ნ. ჯანგირაშვილის პრიზზე ძიუდოში.

იმ დღეს სპორტული ცხოვრებით სუნთქავდა თბილისი. ქალაქი ხვდებოდა სპორტული ზაფხულის მობრძანებას.

**ინგა ჩოხელი.**

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: მძლეოსნურ ამანათრბენში გამარჯვებული საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდი; რიყეში გამართული ღონისძიების ეპიზოდები.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

# დღეს საერთაშორისო სოლიდარობის დღეა

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## უმაღლესი ჯგუფი

**„ოდიში" (ზუგდიდი) — „იბერია" (თბილისი) 1:1 (0:1)**

**ზუგდიდი. ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.**

**„ოდიში": პანტურია, კვიტატიანი, მაქაცარია, თუთბერიძე, ჯავაშვილი, ნადარეიშვილი, მალანია, შეროზია (გოგოხია), ბიგვავა, თევზაძე (ტიბუა), აფაქიძე.**

**„იბერია": ხაპოვი (დევაძე), კეტაშვილი, ცხადაძე, ჰედია, ჯიშკარიანი, ჩიქოვანი, ქეცბაია, კაჭარავა (კერძევაძე), ცაავა, გურული (რევიშვილი), გოგიჩაიშვილი.**

**მსაჯები: ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სოხუმი).**

**საქართველოს** ჩემპიონატის დაწყების წინ თბილისის „იბერიის" მთავარმა მწვრთნელმა დ. ყიფიანმა განაცხადა, რომ „იბერიასთან" ყველა მეტოქე გაორკეცებული ენერგიით ითამაშებს, რადგანაც ჩვენს გუნდთან წარმატების შემთხვევაში კლუბებს თავიანთ ძალებში რწმენა საგრძნობლად განუმტკიცდებათო. ამის დასტურად ფოთის „კოლხეთი-1913"-თან და რუსთავის „გორდასთან" ჩატარებული მატჩებიც კმარა—თბილისელებთან წარმატებით ჩატარებული შეხვედრის შემდეგ ორივე გუნდი ყოველ ტურში ავსებს ქულათა მარაგს. „იბერიამ" მესამე გასვლითი შეხვედრა ზუგდიდში გამართა „ოდიშთან", კლუბთან, რომელიც ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის ყველაზე მეტად „დაიჩაგრა" გათამაშების კალენდრით, რადგან განვლილ ტურებში რესპუბლიკის თითქმის ყველა ძლიერ კოლექტივთან მოუწია თამაში. აქვე ვიტყვით, რომ ამ შეხვედრებში ზუგდიდელები ტოლს არ უდებდნენ მეტოქეს, ცოტა სპორტული იღბალიც რომ ჰქონოდათ და მსაჯებიც უფრო კომპეტენტურნი ყოფილიყვნენ, „ოდიშს" ქულათა სხვა მარაგით ვიხილავდით.

თამაშის დღეს ზუგდიდში გადაუღებლად წვიმდა, მაგრამ სტადიონი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც სავსე იყო. თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. მეტოქეებმა პირველ წუთებში რამდენიმე სახიფათო შეტევა განახორციელეს, მაგრამ არც ერთ კარს რაიმე სერიოზული საფრთხე არ დამუქრებია. როგორც ხშირად ხდება სველ მინდვრებზე, კურიოზული მომენტები ამ მატჩშიც საკმაოდ იყო. მასპინძელთათვის საბედისწერო გამოდგა მე-10 წუთი — ერთ-ერთ ეპიზოდში მცველმა თავის მეკარეს დაუგორა ბურთი, რომელიც წყალში გაჩერდა, მას პირველმა გურულმა მიუსწრო და ხელიდან არ გაუშვა ეს „საჩუქარი" — 1:0. გატანილი ბურთის შემდეგ ყველას ეგონა, რომ თბილისელებს არ გაუჭირდებოდათ ანგარიშის შენარჩუნება და დაწინაურებაც. კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა, მაგალითად, კაჭარავამ, რომლის ახლო მანძილიდან თავით დარტყმულ ბურთს ადგილზე დახვდა პანტურია. ტაიმის ბოლოს თამაში გათანაბრდა და უკვე ხაპოვს მოუხდა რამდენჯერმე თამაშში ჩაბმა, ერთ-ერთ მომენტში თავდამსხმელთან შეჯახების დროს კი იგი დაშავდა და მეორე ნახევარში დევაძემ შეცვალა.

საინტერესოდ წარიმართა დარჩენილი 45 წუთიც. რამდენჯერმე საიმედოდ ითამაშა დევაძემ, მასპინძლები ახლოს იყვნენ მიზანთან, ზედიზედ სახიფათო შეტევა წამოიწყო ბიგვავამ, რომელიც ზუგდიდელ ფეხბურთელთა თითქმის ყველა შეტევის ორგანიზატორი იყო. ერთ-ერთ ეპიზოდში მალანია კარგად გასცდა თბილისელთა მცველებს, მეკარესთან პირისპირ დარჩა და ამ უკანასკნელს ისღა დარჩენოდა აკრძალული ხერხით შეეჩერებინა იგი. 11-მეტრიანი თვითონ მალანიამ შეასრულა, მაგრამ დარტყმის მიმართულება დევაძემ გამოიცნო და კუთხურზე მოიგერია ბურთი. არც ამის შემდეგ შეუწყვეტიათ იერიშები მასპინძლებს, ძალისმიერი თამაში, რომელიც ყოველთვის ახასიათებს ასეთ ამინდში შეხვედრებს, ხშირ შემთხვევაში უხეშობაშიც გადადიოდა. ამის მიუხედავად რაიმე მნიშვნელოვანი ინციდენტი არ მომხდარა. დარჩენილი დრო „ოდიშის" ფეხბურთელებმა კვლავ შეტევებში „გაატარეს", აფაქიძის თავური დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმაც მოიგერია. თამაშის დამთავრებას ოციოდე წამიღა აკლდა, როცა შეცვლაზე გამოსულმა ტიბუამ შორიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში. ამ დარტყმას თბილისელთა მეკარე მოუმზადებელი შეხვდა და ვერ შეძლო მისი მოგერიება. გატანილი ბურთის შემდეგ მაყურებლები თავიანთი გუნდის მისალოცად მინდორზე გადავიდნენ, არბიტრს კი ჯერ არ ჰქონდა ფინალური სასტვენი მიცემული. მაყურებელი იმისთვის არის, რომ გაამხნევოს და გვერდში ედგას თავის გუნდს, მაგრამ მინდორზე შესვლა და სიხარულის ასეთნაირად გამოხატვა, რა ტიტულოვან კლუბთანაც უნდა ჰქონდეთ თამაში, არასწორად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ კარგად ვიცით, თუ როგორ უყვართ და ესმით ზუგდიდელებს ფეხბურთი. ამაზე თუნდაც ისიც მეტყველებს, რომ „ოდიშის" ქომაგთა თანადგომით და გუნდის მთავარი მწვრთნელის ო. გაბელიას მცდელობით „ოდიში", რომელიც შარშან რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობდა, წლეულს უძლიერეს კლუბებთან ჰიდილში შემტევ, თანამედროვე, ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს.

კარგად გვახსოვს ზუგდიდელთა პატრიოტიზმი, — ისინი ხომ მუდამ ერთგული დამცველები არიან ეროვნული ინტერესებისა. სწორედ ამიტომ ვთხოვთ ადგილობრივ გულშემატკივრებს მეტი სიდინჯე გამოიჩინონ საფეხბურთო შეხვედრების დროს. რაც შეეხება „ოდიშის" ფეხბურთელებს, დარწმუნებული ვართ, ისინი ვალში არ დარჩებიან თავიანთ ქომაგებს.

ზუგდიდის „ოდიშისა" და თბილისის „იბერიის" შეხვედრაზე კომისრად მივლინებული იყო ქუთაისელი ზურაბ თოდაძე. სამივე მსაჯს მან უმაღლესი ნიშანი — ხუთიანი დაუწერა.

მატჩს ესწრებოდა თბილისის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი რამაზ შენგელია, რომელსაც ვთხოვეთ გამოეთქვა თავისი აზრი:

— წვიმიანი ამინდის მიუხედავად, თამაში სანახაობრივად მიმზიდველი გამოდგა. „ოდიში" კარგად მომზადებული შეხვდა ამ მატჩს, მთელ რიგ ეპიზოდებში ზუგდიდელები ტოლს არ უდებდნენ ძლიერ მეტოქეს. მასპინძელთა მხრივ ქებას იმსახურებს შ. ბიგვავა, რომელმაც კარგად წარმართა მთელი შეხვედრა. გატანილი ბურთის შემდეგ თბილისელებმა აქცენტი დაცვაზე გადაიტანეს, რაც, ჩემი აზრით, არასწორი იყო — წვიმიან ამინდში ყველანაირ მოულოდნელობას უნდა ელოდე, ამიტომაც ჯობია მეტოქის ნახევარზე ეძებო შენი ბედი. ანგარიში ამ შეხვედრის ლოგიკურ შედეგად მიმაჩნია.

**ზაზა კახაძე.**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

**„ქუთაისი" (ქუთაისი) — „ოზურგეთი" (ოზურგეთი) 1:0 (0:0).**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.**

**„ქუთაისი": ჩხეიძე, შავგულიძე, თორლაშვილი, ბზიკაძე, თევზაძე, ნადირაძე, ჯანაშია (თევდორაძე), დვალიშვილი, შენგელია, დარასელია, ფაიქიძე (სეფისკვერაძე).**

**„ოზურგეთი": ზოიძე, ცერცვაძე, კაშია, ხამაშურიძე (ბერიშვილი), კალატოზიშვილი (მეავანაძე), ბარამიძე, ამაშუკელი, ათუაშვილი, თეთრაძე, ნასუაშვილი (გელაძე), ჩიგოგიძე.**

**მსაჯები: თ. ლაცაბიძე, შ. ხანიაშვილი, ო. გუნთაძე (თბილისი).**

**ქუთაისში** მთელი დღე წვიმდა, რამაც საგრძნობლად იმოქმედა მატჩის სანახაობით მხარეზე და მაყურებელთა რაოდენობაზეც. სულ ხუთასიოდე კაცი დაესწრო ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩს. „ქუთაისი" 15 ქულით (უდანაკარგოდ) ლიდერობა ჯგუფს ედგა სათავეში ლანჩხუთის „გურიასთან" ერთად, ხოლო ოზურგეთელთა გუნდი ამ შეხვედრამდე დაუმარცხებლად მონაწილეობდა ეროვნულ ჩემპიონატში.

მატჩის დასაწყისში ქუთაისელებმა ხელთ აიღეს ინიციატივა და თამაშის ბოლომდე არ გაუშვიათ იგი. პირველად შენგელიამ მოსინჯა მეკარე ზოიძის ოსტატობა, შემდეგ დვალიშვილმა, ნადირაძემ და ფაიქიძემ ვერ გამოიყენეს გოლის გატანის რეალური შესაძლებლობები. თორლაშვილი ორჯერ ზედიზედ ჩაერთო შეტევებში, მაგრამ გადამწყვეტი დარტყმები არაზუსტი იყო.

ზოიძეს მთელი მატჩის განმავლობაში სამუშაო არ გამოლევია. თუ გავითვალისწინებთ ატალახებულ მინდორსაც, სადაც მოძრაობა და სწრაფი რეაქცია ყოველთვის ჰქირს, მართლაც, ცუდ დღეში იყო ოზურგეთელთა კარის დარაჯი.

პირველ ტაიმში სტუმრებს არაფრით გამოუჩენიათ თავი. მათ მხოლოდ ორჯერ შექმნეს სახიფათო მდგომარეობა „ქუთაისის" კართან. ჯერ ნასუაშვილმა, შემდეგ კაშიამ თავით დარტყმული ბურთი ააცილა მეტოქის კარს.

მეორე ტაიმიც ქუთაისელთა უპირატესობით დაიწყო და პირველივე სახიფათო მომენტი გოლით დაგვირგვინდა — სტუმართა მცველების შეცდომით კარგად ისარგებლა ჯანაშიამ, ბურთი საჯარიმო მოედანზე შეუგდო ფაიქიძეს, რომელმაც მშვიდად გაგზავნა იგი მეტოქის კარში. ეს მოხდა მატჩის 49-ე წუთზე.

არც გოლის გატანის შემდეგ დაუგდიათ ტემპი მასპინძლებს, წუთიც არ იყო გასული, ფაიქიძემ კინაღამ მეორე გოლიც გაიტანა. ქუთაისელები ფაქტიურად მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ მატჩის სადავეებს, მხოლოდ შეხვედრის ბოლოს გამოცოცხლდნენ სტუმრები, რომელთა მწვრთნელმაც ერთდროულად სამი ფეხბურთელი შემოიყვანა მინდორზე, მაგრამ მათ მცდელობას გაეთანაბრებინათ ანგარიში, შედეგი არ მოჰყოლია.

„ქუთაისმა" დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა და ლიდერთა ჯგუფს ჩაუდგა სათავეში, ხოლო ოზურგეთელებმა პირველი მარცხი განიცადეს.

**ლევან ჯავახიშვილი.**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

**„კოლხეთი" (ხობი) — „გურია" (ლანჩხუთი) 1:0 (1:0)**

**ხობი. ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.**

**„კოლხეთი": ბაბუაძე, ჭეჭელავა, კაციტაძე, ხურცილავა, ლატარია, ფარფალია (დოლბაია), ბაკურაძე, სიჰინავა, გვასალია, თევზაძე, ქვილითაია.**

**„გურია": ქანთარია, მიქაბერიძე, ჩხაიძე, დანელია, ბაკურაძე, ცომაია, ბარათაშვილი, ტყებუჩავა, კორღალიძე, ფრიდონაშვილი, უგრელიძე.**

**მსაჯები: მ. მიმინოშვილი, ზ. დარჩია, ტ. ნიშნიანიძე (თბილისი).**

**გუნდები** კოკისპირულ წვიმაში გამოვიდნენ მინდორზე. „კოლხეთი" ამ მატჩისთვის სერიოზულად ემზადებოდა, თუმცა, სხვადასხვა მიზეზის გამო ოთხი წამყვანი ფეხბურთელი ვერ გამოიყვანა მინდორზე.

თამაში მაღალ ტემპში დაიწყო. მეტოქეებმა მოსინჯეს ერთმანეთის კარები, მე-7 წუთზე კი სიჰინავამ მარჯვენა ფლანგიდან საჯარიმო დარტყმით ბურთი დაკიდა ქანთარიას კართან, აქ ყველას დაასწრო ქვილითაიამ და თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

კარგმა დასაწყისმა მეტი ენერგია შემატა მასპინძლებს, სახიფათო მომენტები შექმნეს ქვილითაიამ და თევზაძემ.

მთელი მატჩის განმავლობაში მწვავედ ერთვოდნენ შეტევებში ბაკურაძე და ჭეჭელავა, მე-15 წუთზე კორღალიძეს შეეძლო საპასუხო გოლის გატანა, მაგრამ მცელებმა იმარჯვეს.

მეორე ნახევარში სტუმრები უფრო გააქტიურდნენ, მაგრამ „კოლხეთმა" კარის მისადგომები საიმედოდ ჩაკეტა და სტუმრებმაც რეალური საფრთხე ვერ შექმნეს. მხოლოდ ერთხელ აღმოჩნდა ცარიელ კართან ახლოს ფრიდონაშვილი, რომელსაც ადვილად შეეძლო გაექვითა ანგარიში, მაგრამ უნებლიედ ბურთი მას ხელზე მოხვდა.

ნათქვამია, მოგება და წაგება ძმები არიანო, ამიტომაც რაინდულად უნდა შეხვდე ორივეს. მოგების სურვილი კარგია, მაგრამ წაგებაც უნდა ვისწავლოთ. სტუმრებმა ამის მაგალითი ვერ გვიჩვენეს. „გურიის" ხელმძღვანელები განაწყენებული დარჩნენ დამარცხებით. გუნდის ადმინისტრატორმა კობა ორმოცაძემ მსაჯთა ოთახში სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მ. მიმინოშვილს რატომ დრო არ დაამატეო.

მეორე ნახევარში მართლაც შეჩერდა თამაში. „გურიის" ფეხბურთელებს კუთხური უნდა ჩამოეწოდებინათ. მეკარე ბაბუაძემ მსაჯს სთხოვა ბურთის გამოცვლა, მიმინოშვილმა დართო ამის ნება, რასაც, მისი განმარტებით, 40 წამი დასჭირდა, მატჩი კი 91 წუთი გაგრძელდა. რა არის აქ სადავო? ასე უტიფრად რატომ იჭრება მსაჯის ფუნქციებში გუნდის ადმინისტრატორი? მთელი მატჩი მსაჯებმა კარგად, ობიექტურად ჩაატარეს თუ არ ჩავთვლით გვერდითი მსაჯების უმნიშვნელო, უნებლიე შეცდომას, რომელსაც მატჩის ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენია.

**ნ. ჟვანია.**
**„ლელოს" საკ. კორ.**

**„შევარდენი-1906" (თბილისი) — „ბათუმი" (ბათუმი) 0:3 (0:2)**

**თბილისი. „შევარდენის" სტადიონი. 28 აპრილი.**

**„შევარდენი-1906": დოლიძე, ელიაშვილი, ჩხეიძე, კოპალეიშვილი, ძნელაძე, ჯოხაძე, შალამბერიძე, კაკილაშვილი, ყვანია, ქობელაშვილი, მინაშვილი.**

**„ბათუმი": ბალაძე, გოგიტიძე, მჭედლიშვილი, დურდიაძე, კიკლიაშვილი (შეყილაძე), ზედანია, მ. მახარაძე, ი. მახარაძე, შანიძე, ტუღუში, მაისურაძე (კედელაძე).**

**მსაჯები: მ. მალაღურაძე (თბილისი), პ. დოგრაშვილი, გ. მიქაუტაძე (ორივე — ქუთაისი).**

**„ბათუმის"** საფეხბურთო კლუბი ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთი ლიდერია. გუნდი თანაბარი სიძლიერით თამაშობს როგორც საკუთარ მინდორზე, ისე სტუმრადაც. მთავარი კი ის არის, რომ განვლილ 5 ტურში ბათუმელებს არც ერთი ბურთი არ ჰქონდათ გაშვებული თავიანთ კარში. ეს, რა თქმა უნდა, „ბათუმის" მეკარის ბალაძისა და შეთანხმებულად მოქმედი დაცვის ხაზის დამსახურებაა. კარგად თამაშობენ ნახევარდაცვა და თავდასხმაც. გუნდის მთავარი ძალა და ყვე… რგოლის შემაკავშირებელი კი მ… [illegible] ზბურთელებს [illegible] მაგრამ ბათუმელთა თამაშის [illegible] რალს როგორც ისეთი შთაბეჭ… ბა გრჩება, რომ ამ მოთამაშის გ… შე გუნდი დაკარგავს იმ შემაკავ… რებელ ჯაჭვს, რომელზეც ფაქ… რად, თამაშის მთელი სი… დადის.

რაც შეეხება „შევარდენს", გუ… დი აუტსაიდერთა შორისაა. ეს, … ბათ, მოსალოდნელიც იყო, ვინაი… ჩემპიონატის დაწყებისთვის კო… ტივი ძირეულად განახლდა და მი… დავად იმისა, რომ აქ ბევრმა გა… ცდილმა ფეხბურთელმა მოიყარა… ვი, მათ ჯერჯერობით „არ ესმ… ერთმანეთის, გუნდი, ფაქტიუ… ცალკეულ რგოლებადაა დაყოფ… აკლია ურთიერთკავშირი. ამ კავ… ის დამყარება, როგორც ჩანს, … ლაშვილს ეკისრება, მაგრამ ეს … მოცდილი ფეხბურთელი არ … სათანადო სპორტულ ფორმაში, … გარკვეულ დაღს ასვამს მთელი … ნდის თამაშს.

საანგარიშო მატჩი კი საკმ… მოულოდნელად დაიწყო: ბათუ… თა პირველივე შეტევა პირველ… წუთზე გოლით დამთავრდა, მარ… ნა ფრთიდან ზედანიას მიერ ჩა… დებულ ბურთს ადგილზე დახ… მახარაძე და გახსნა ანგარიში 1:0.

შემდგომი 20 წუთი თანაბარ ბრ… ლაში მიმდინარეობდა, ყვანიას 19 წუთზე შეეძლო ანგარიში გ… ვითა, მაგრამ საუკეთესოდ ითა… ბალაძემ და მოიგერია ზედა კუ… ში გაგზავნილი ბურთი. ამის შე… ბათუმელმა ფეხბურთელებმა… ლეს თამაშის სადავეების ხელში… ება, მათი შეტევები სულ უ… მწვავე ხდებოდა და 28-ე წუ… როდესაც საკუთარი საჯარიმოს ხ… ლოვეს შეცდომა დაუშვა კაკი… ვილმა, ზედანია პირისპირ და…

## გათამაშების ცხრილი

**უმაღლესი ჯგუფი** — მდგომარეობა 1 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| „ქუთაისი" (ქუთაისი) | 6 | 6 | 0 | 0 | 13-5[illegible] |
| „ბათუმი" (ბათუმი) | 6 | 5 | 1 | 0 | 9-0[illegible] |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 6 | 5 | 0 | 1 | 14-1[illegible] |
| „გორდა" (რუსთავი) | 6 | 4 | 1 | 1 | 10-4[illegible] |
| „კოლხეთი-1913" (ფოთი) | 6 | 4 | 1 | 1 | 9-[illegible] |
| „იბერია" (თბილისი) | 6 | 3 | 2 | 1 | 17-4[illegible] |
| „სანავარდო" (სამტრედია) | 6 | 3 | 2 | 1 | 10-7[illegible] |
| „კოლხეთი" (ხობი) | 6 | 3 | 2 | 1 | 8-[illegible] |
| „ოზურგეთი" (ოზურგეთი) | 6 | 2 | 3 | 1 | 4-[illegible] |
| „დილა" (გორი) | 6 | 2 | 1 | 3 | 8-[illegible] |
| „ივერია" (ხაშური) | 6 | 2 | 0 | 4 | 4-[illegible] |
| „მზიური" (გალი) | 6 | 2 | 0 | 4 | 6-1[illegible] |
| „ცხუმი" (სოხუმი) | 6 | 1 | 3 | 2 | 5-[illegible] |
| „ოდიში" (ზუგდიდი) | 6 | 0 | 3 | 3 | 3-[illegible] |
| „ამირანი" (ოჩამჩირე) | 6 | 1 | 0 | 5 | 1-1[illegible] |
| „სამგურალი" (წყალტუბო) | 6 | 0 | 2 | 4 | 5-1[illegible] |
| „შევარდენი-1906" (თბილისი) | 6 | 0 | 1 | 5 | 4-1[illegible] |
| „ლიახვი" (ცხინვალი) | 6 | 0 | 0 | 6 | 2-[illegible] |

## მსაჯთა რეესტრი

**უმაღლესი ჯგუფი, VII ტური, 2 მაისი**

„ოზურგეთი" (ოზურგეთი) — „სამგურალი" (წყალტუბო). მ. მიმინოშვილი, ო. გუნთაძე, ზ. ლაცაბიძე (თბილისი).

„სანავარდო" (სამტრედია) — „ქუთაისი" (ქუთაისი). ა. მილჩენკო, ო. გაგუა, ვ. ტოროსიანი (სოხუმი).

„გურია" (ლანჩხუთი) — „ცხუმი" (სოხუმი). ე. სილაგავა, უ. ფურცელაძე (თბილისი), გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

„ბათუმი" (ბათუმი) — „კოლხეთი" (ხობი). ა. კოკაია, ვ. ეჯიბია, რ. ტალიაშვილი (თბილისი).

„იბერია" (თბილისი) — „შევარდენი-1906" (თბილისი). შ. ხანიაშვილი (თბილისი), ა. კიკაბიძე, ზ. ჯინჭარაძე (ოზურგეთი).

„მზიური" (გალი) — „ოდიში" (ზუგდიდი). თ. ლაცაბიძე, ვ. ალიევი, ი. შალამბერიძე (თბილისი).

„ივერია" (ხაშური) — „ამირანი" (ოჩამჩირე). გ. სეფიაშვილი (თბილისი), ი. ლორთქიფანიძე (ტყიბული), ი. კახიანი (სამტრედია).

„კოლხეთი-1913" (ფოთი) — „ლიახვი" (ცხინვალი). მ. კობიაშვილი (დუშეთი), მ. მალაღურაძე (თბილისი), ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

„გორდა" (რუსთავი) — „დილა" (გორი). თ. ლორთქიფანიძე, მ. ჰელიძე (თბილისი), მ. მირცხულავა (ლანჩხუთი).

**I ჯგუფი, VII ტური, 3 მაისი.**

„სამეგრელო" (ჩხოროწყუ) — „ჩიხურა" (საჩხერე). ო. გუნთა… ზ. ლაცაბიძე, თ. ლაცაბიძე (თბ… ლისი).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბ… ლისი) — „სქური" (წალენჯიხა). … მიქაუტაძე, პ. დოგრაშვილი, მ. … ჩიტაძე (ქუთაისი).

„მარგვეთი" (ზესტაფონი) — „… ლორი" (ვანი). მ. მალაღურაძე, … სეფიაშვილი, უ. ფურცელაძე (თბ… ლისი).

„სიონი" (ბოლნისი) — „დი… მო" (გაგრა). რ. ტალიაშვილი, … დარჩია (თბილისი), მ. კობიაშვ… (დუშეთი).

„არმაზი" (მცხეთა) — „არაგ… (დუშეთი). ზ. ჯინჭარაძე (ოზურ… თი), ა. შილაკაძე, თ. ლორთქიფ… ძე (თბილისი).

ტექნიკური უნივერსიტეტი (თბ… ლისი) — „მაღაროელი" (ჭიათუ… შ. თომაშვილი (თბილისი), ე. … რამაძე, მ. ფოლადაშვილი (რუს… ვი).

„დურუჯი" (ყვარელი) — „კა… თი" (თელავი). ა. კიკაბიძე (ოზუ… გეთი), დ. რეხვიაშვილი (გარდაბა… გ. ბესთაევი (გორი).

„ალაზანი" (გურჯაანი) — „ბა… რიონი" (ახმეტა). ი. კახიანი (სა… რედია), ვ. ალიევი, ა. წერეთე… (თბილისი).

„საპოვნელა" (თერჯოლა) — „… ქურა" (ქობულეთი). ვ. ეჯიბია, … შალამბერიძე, ა. კოკაია (თბილ…

„ქართლი" (გორის რ-ნი) — „… ერეთი" (ხონი). ნ. კილაძე, ე. … ლაგავა, ლ. ჩიტაია (თბილისი).

დოლიძესთან და ხელიდან არ გაუშვა თავისი შანსი — 2:0.

მეორე ტაიმში ბათუმელებმა კონტრშეტევები ამჯობინეს. მათ კართან რეალური საფრთხე 73-ე წუთზე შეიქმნა — ქობელაშვილის მიერ დარტყმული ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა დურდიაძემ, „ბათუმის" ერთ-ერთი კონტრშეტევა კი უშედეგიანი გამოდგა: თბილისელთამცველებმა ვერ უვნებელყვეს კიკლიაშვილი, რომელმაც სამამდე გაზარდა ანგარიში.

სტუმართა გუნდში მ. მახარაძის გარდა გამოირჩეოდნენ ზედანია, ტუღუში, შანიძე, კედელაძე...

**ბიორგი ქორქია.**

**„ლიახვი" (ცხინვალი) — „ივერია" (ხაშური) 1:2 (0:2).**

**თბილისი. „შევარდენის" სტადიონი. 29 აპრილი.**

**„ლიახვი": ხაჩიროვი (თ. ხანაკოევი), კახნიაშვილი, ვ. ხუბეჯიშვილი, მარგიევი (მ. ხანაკოევი), ვ. ჯიოევი, ნასუაშვილი (მიხაილოვი), დოგუზოვი, გაბიევი, რომელაშვილი, გ. ხუბეჯიშვილი, ა. ჯიოევი.**

**„ივერია": მურადაშვილი, ჯანგურიძე, ცხოვრებაშვილი, ამბიძე, ლაცაბიძე, მაღრაძე, აბაზაძე (ტიტვინიძე), პოზოიანი (ქიმერიძე), თევზაძე, მღვდელაძე, რობაქიძე (რ. ნოზაძე).**

**მსაჯები: თ. ლორთქიფანიძე, ნ. კილაძე, ა. შალიკაძე (თბილისი).**

**გააფრთხილეს ამბიძე („ივერია").**

**ორივე** გუნდი სატურნირო ცხრილის პირველი ათეულის მიღმა იმყოფებოდა, თუმცა, ამას ერთგვარი გამართლებაც აქვს — არც ერთ კოლექტივს ჯერჯერობით საკუთარ მინდორზე არ უთამაშია და მათი მასპინძლის როლში მოვლენა სხვადასხვა ქალაქების სტადიონებზე მხოლოდ სიმბოლურია.

ასე იყო ამჯერადაც. თბილისის „შევარდენის" სტადიონზე მასპინძელი ცხინვალის „ლიახვი" იყო, თუმცა, არც ხაშურელი ფეხბურთელები გამოიყურებოდნენ სტუმრის როლში, მით უმეტეს, რომ „ივერიის" რამდენიმე წევრისთვის ეს სტადიონი კარგადაა ნაცნობი ჯერ კიდევ უწინდელი „შევარდენის" გუნდის რიგებში თამაშის პერიოდიდან.

მატჩის დასაწყისში ხაშურელ ფეხბურთელთა შეტევებით აღინიშნა და მე-12 წუთზე თევზაძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი მაღალ კუთხეში გაეხვია ბადეში. გაშვებულმა გოლმა თითქოს გამოაფხიზლა ცხინვალელი ფეხბურთელები, თუმცა, რეალური საფრთხე არც ერთ კართან არ შექმნილა და ორმხრივი შეტევები საჯარიმოს მისადგომებთან მთავრდებოდა. თამაშის მსვლელობაში გარკვეული კორექტივები შეიტანა იმანაც, რომ თბილისში მთელი დღე წვიმდა და მხოლოდ მატჩის დაწყების წინ გამოიდარა. არადა, ივერიელთა შეტევები პოზოიანისა და თევზაძის აქტიური თამაშის გამო ძირითადად მარცხენა ფრთიდან ვითარდებოდა, სადაც წვიმის გუბეები აფერხებდა ბურთს.

პირველი ტაიმის დასასრულს რამდენიმე წამი აკლდა, როდესაც მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა რობაქიძემ ორამდე გაზარდა ანგარიში.

მეორე ნახევარში გააქტიურდა „ლიახვი", შეტევას შეტევა მოსდევდა. დიდი მოცულობის სამუშაოს ასრულებდა დოგუზოვი, რომელიც, ფაქტიურად, ცხინვალელთა ყველა შეტევის სულისჩამდგმელი იყო. მას კარგად აუბეს მხარი რომელაშვილმა, გ. ხუბეჯიშვილმა, ა. ჯიოევმა... 55-ე წუთზე აშკარა საგოლე მომენტი ვერ გამოიყენა გ. ხუბეჯიშვილმა, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ ა. ჯიოევის საჯარიმო მოედანზე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი დარტყმის შესრულება თანაგუნდელებმა მ. სანაკოევს მიანდეს, მაგრამ მისი დარტყმა ძელმა მოიგერია. თამაშის მიწურულს, 88-ე წუთზე ხუბეჯიშვილმა მაინც შეძლო თავური დარტყმით ერთი ბურთის გატანა.

„ივერიამ" მისთვის ესოდენ საჭირო 3 ქულა მოიპოვა, „ლიახვი" კი ჯერჯერობით კვლავ ერთადერთ კოლექტივად რჩება, ვისაც გათამაშების ცხრილში ქულათა გრაფაში „0" უწერია.

**ბიორბი ლოლაძე.**

**„ცხუმი" (სოხუმი) — „სანავარდო" (სამტრედია) 2:0 (1:0)**

**სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 28 აპრილი.**

**„ცხუმი": ყორყოლიანი, ჩიხრაძე, ფარულავა, დოჩია, მალანია, ინალიშვილი, გაბისკირია, პაპავა, მ. ჯიშკარიანი (გელენავა), მორგოშია (გადელია), სიჭინავა.**

**„სანავარდო": გვენცაძე, კოხრეიძე, ვაშაკიძე, ჰელიძე, თვალაბეიშვილი, ამბიძე (რუხაძე), ბაბუნიძე, შეპტიცკი, გოგაძე, დადუნაშვილი, დვალიშვილი (ხუჭუა).**

**მსაჯები: ა. კოკაია, დ. მენთეშაშვილი, ე. სიჭინავა (თბილისი).**

**სოხუმელებმა** მატჩის დასაწყისში რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს სტუმართა კართან, მე-8 წუთზე სამტრედიელებმა საკუთარ საჯარიმო მოედანში წააქციეს გ. ინალიშვილი და მსაჯმა სამართლიანად დანიშნა პენალტი. მალანიამ გამოიყენა ეს შესაძლებლობა — 1:0. ამის შემდეგ ორივე გუნდს ჰქონდა ბურთის გატანის კარგი შესაძლებლობა, მაგრამ ანგარიში უცვლელი დარჩა.

მეორე ნახევარი „ცხუმის" აშკარა უპირატესობით წარიმართა. 56-ე წუთზე სოხუმელებმა მეორედ აიღეს სტუმართა კარი. ეს შეძლო მ. ჯიშკარიანმა, რომელიც ამ დღეს პირველ შეხვედრას ატარებდა „ცხუმის" შემადგენლობაში. იგი წარმოშობით სოხუმელია და სამტრედიიდან დაუბრუნდა გუნდს. 2:0 — ასე დამთავრდა ეს მატჩი.

აღვნიშნავთ, რომ მაყურებელი ტაიმით შეხვდა დიქტორის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ქ. სოხუმის № 2658 ავტოკოლონის ქართველმა გულშემატკივრებმა „ცხუმის" ანგარიშზე 1.400 მანეთი გადარიცხეს.

**თენბიზ პაპკორია.**

**„ლელოს" კორ.**

* * *

**შენიშვნა:** წყალტუბოს „სამგურალისა" და რუსთავის „გორდას", გორის „დილისა" და „კოლხეთი-1913"-ის (ფოთი), აგრეთვე, ოჩამჩირის „ამირანისა" და გალის „მზიურის" შეხვედრების ანგარიშს, ტექნიკური მიზეზების გამო, დღევანდელ ნომერში ვერ ვაქვეყნებთ.

**ორი მატჩი რუსთავის სტადიონზე**

**როგორც** ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაციიდან შეგვატყობინეს, 2 და 3 მაისს რუსთავის „ფოლადის" სტადიონზე გაიმართება საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის ორი კალენდარული მატჩი.

2 მაისს ადგილობრივი „გორდა", კალენდრის შესაბამისად, მიიღებს გორის „დილას". თამაშის დასაწყისი 18 საათზე.

ვინაიდან სამტრედიის სტადიონი დისკვალიფიცირებულია, ამ ქალაქის „სანავარდო" მორიგ კალენდარულ შეხვედრას გამართავს რუსთავის სტადიონზე. იგი შეხვდება ქუთაისის „ქუთაისს". შეხვედრა შედგება 3 მაისს, დასაწყისი 19 საათზე.

## I ლიგა

**29 აპრილს შედგა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშებაში VI ტურის მატჩები**

**„დინამო" (სოხუმი) — „კოტაიკი" (აბოვიანი) — 1:0 (1:0)**

**სოხუმი. ცენტრალური სტადიონი. 29 აპრილი.**

**„დინამო": ოვჩინიკოვი, ბონდარუკი, ჩეკუნოვი, თარბა, დაბაშინი, გ... (კვარაცხელია), არუთუნიანი (გუბაზი), ახვლედიანი, ტუნკინი, ჩალიგავა, ხაგბა (თ. ლოგუა).**

**„კოტაიკი": სუქიასიანი, მელქონიანი, ბალდასარიანი, ხაშენკო, გლუშაკოვი, პოლოსიანი (კოჩარიანი), ო. მხითარიანი, კერგიშიანი (ადამიანი), მინაევი, ა. გალსტიანი, ახლანიანი.**

**მსაჯი ლ. ბავიკინი (ხარკოვი).**

პირველ ტაიმში არც ერთ მხარეს არ შეუქმნია სახიფათო მომენტი. შეხვედრა მიმდინარეობდა საშუალო ტემპში, მაგრამ 42-ე წუთზე ხაგბამ მოატყუა რამდენიმე მცველი და ლამაზი ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში — 1:0.

მეორე ნახევარში ანგარიში აღარ შეცვლილა. დინამოელებმა მეორე გამარჯვება მოიპოვეს წლევანდელ გათამაშებაში.

**თენბიზ ქაჯაია.**

ტურის სხვა შეხვედრები ასეთი შედეგებით დამთავრდა: „ყუბანი" (კრასნოდარი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 0:2, „ზენიტი" (ლენინგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 0:1, „ნეფთჩი" (ბაქო) — „გეოლოგი" (ტიუმენი) 6:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „კუზბასი" (კემეროვო) 2:0, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:0, „ლოკომოტივი" (გორკი) — „კაირატი" (ალმა-ათა) 3:2, „ფაკელი" (ვორონეჟი) — „ფახთაქორი" (ტაშკენტი) 3:1.

# სადისციპლინო კომისიის სხდომაზე

**განვლილია** რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 6 ტური, მეორე ჯგუფში ჯერ ორი ტურია გამართული და აქედანვე უნდა ითქვას, რომ რაც უფრო ძალას იკრებს ჩემპიონატი, სულ უფრო ხშირად გვიხდება ლაპარაკი ფეხბურთელების, მწვრთნელების, მსაჯების მიერ სხვადასხვა დარღვევებზე. დღეს სულ ერთი აღარაა თუ როგორ ვწეროთ და რა ვწეროთ საკუთარ საფეხბურთო ჩემპიონატზე, ეს ყველას სატკივარია.

არავის არ უნდა დაავიწყდეს 1990 წლის 30 მარტი, რესპუბლიკაში ხომ ამ დღეს ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო, რომელსაც გულგრილი არ დაუტოვებია არც ერთი ქართველი, არ შეიძლება, რომ ჩემპიონატის საზეიმო გახსნა ცისფერი ეკრანიდან არ ეხილოთ ასპარეზობაში მონაწილე სხვა ფეხბურთელებს. ამ დღეს, როგორც ფეხბურთის გულშემატკივრებს გახსოვთ, თბილისში „იბერია" ფოთის „კოლხეთი-1913"-ს მასპინძლობდა, თბილისელმა მაყურებლებმა ოვაციებით გააცილეს ფოთელთა გამარჯვებული კოლექტივი მიუხედავად იმისა, რომ საკუთარი გუნდის დამარცხებამ გული დაწყვიტა გულშემატკივრებს. მით უმეტეს გუნდისა, რომელიც წლების განმავლობაში ქართული ფეხბურთის ფლაგმანი იყო. ამ დღის დავიწყება არაფრით არ შეიძლება, რადგანაც ყველაფერი ისე იყო ორგანიზებული, როგორც ნამდვილი დიდი ფეხბურთის საზეიმო გახსნის ცერემონიალს შეჰფერის, ახლა კი რა დარღვევები მოხდა გასულ ტურებში რესპუბლიკის ჩემპიონატში? ფოთში ადგილობრივი „კოლხეთი" რუსთავის „გორდას" მასპინძლობდა. ეს იყო პირველი მატჩი ფოთში (როგორც გახსოვთ „კოლხეთი-1913"-მა ოთხი შეხვედრა სტუმრად გამართა). თამაშის მსვლელობის დროს ტრიბუნებიდან ნასროლი ქვა მოხვდა გვერდით მსაჯს ო. გაგუას, ამის გამო მატჩი ორი წუთით შეწყდა. სპორტულ-ტექნიკურმა კომისიამ მასპინძელთა კლუბი 2 ათასი მანეთით დააჯარიმა. ასევე გააფრთხილა სტადიონის ხელმძღვანელობა, რომ მსგავს შემთხვევაში კომისია უფრო მკაცრ ზომებს მიიღებს.

სხდომაზე გადაწყდა სამტრედიის „სანავარდოს" მოთამაშის მ. ჯიშკარიანის საკითხიც. ეს ფეხბურთელი „სანავარდოს" კლუბიდან სოხუმის „ცხუმის" ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით სოხუმში გადავიდა. ამიერიდან ჯიშკარიანი „ცხუმის" შემადგენლობაში გააგრძელებს თამაშს.

სამტრედიაში, სადაც „სანავარდო" ხობის „კოლხეთს" მასპინძლობდა, თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე, მაყურებელთა ერთი ჯგუფი მინდორზე შეიჭრა და ანგარიშსწორება მოუნდომა მსაჯებს. მიზეზი გახლდათ მსაჯების მიერ სრულიად სამართლიანად დაფიქსირებული თამაშგარე მდგომარეობა. მილიციის თანამშრომლების ხელშეწყობით ორი წუთის შემდეგ თამაში განახლდა და ფრედ — 2:2 დამთავრდა. არც ამის შემდეგ დამცხრალა მაყურებელთა ერთი ჯგუფი, რომელიც გუნდის მთავარი მწვრთნელის ჯ. ჯალაღანიას გადადგომას მოითხოვდა (მწვრთნელმა მეორე დღესვე დაწერა განცხადება განთავისუფლებაზე), ასევე „ლინჩის წესით" სურდათ ვაიგულშემატკივრებს მსაჯებთან ანგარიშის გასწორება, მატჩის კომისარის თ. ფანიაშვილის თქმით კი არბიტრებმა შეხვედრა კარგად ჩაატარეს. მხოლოდ ორი საათის შემდეგ მიეცათ საშუალება მსაჯებს, გასახდელიდან გამოსულიყვნენ, ისინი მილიციის თანხლებით გააცილეს.

სამტრედიის სტადიონი 3 თამაშით დისკვალიფიცირებულია, ხოლო კლუბი 10.000 მანეთით დააჯარიმეს.

სუსტად ჩაატარა I ჯგუფის შეხვედრა ზესტაფონში გვერდითმა მსაჯმა ე. დათიაშვილმა. აქ „მარგვეთი" დუშეთის „იორს" მასპინძლობდა. შეხვედრა ზესტაფონელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0. ეს ერთადერთი ბურთი, როგორც მატჩის კომისარმა ბ. ქარქაშაძემ აღნიშნა, თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც შეხვედრის ბედი. აქაც დუშეთის მოთამაშეებმა ანგარიშის გასწორება სცადეს მსაჯთან. მათ შესაჩერებლად ადგილობრივი მაყურებელი დაიძრა. მიუხედავად იმისა, რომ ინციდენტი არ მომხდარა, სტადიონის დირექცია გაფრთხილებულია.

თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტისა და ვაკის „დინამოს" მატჩში, რომელსაც რუსთაველი ზ. ჯინჭარაძე მსაჯობდა, თამაშის დამთავრების შემდეგ მსაჯის შეურაცხყოფისათვის წითელი ბარათები დაიმსახურეს ჯ. კოჩქიანმა („დინამო") და გ. პაიჭაძემ (ფიზ. ინსტ). ჯ. კოჩქიანს კომისიამ 2 კალენდარული მატჩით მისცა დისკვალიფიკაცია, ხოლო გ. პაიჭაძე ერთ თამაშს გამოტოვებს.

ქობულეთში ადგილობრივი „შუქურა" თბილისის სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტს მასპინძლობდა (მსაჯი დ. მენთეშაშვილი). აქაც ერთმანეთთან მუშტი-კრივისთვის მინდვრიდან გააძევეს გ. ბებია (ს. ტ. უ.) და დ. ფხაკაძე („შუქურა"), ხოლო მსაჯის ფიზიკური შეურაცხყოფისათვის — გ. ქორქია (ს. ტ. უ.).

გ. ქორქიას თავისმა კლუბმა წლის ბოლომდე გამოუტანა დისკვალიფიკაცია. ეს გადაწყვეტილება კომისიამ ძალაში დატოვა. გ. ბებია ორ თამაშს გამოტოვებს, ხოლო დ. ფხაკაძე („შუქურა") — ხუთს. ასევე გააფრთხილეს ორივე გუნდის ხელმძღვანელები.

მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის ამბროლაურის „რაჭის" ფეხბურთელი გ. შარაბიძე დისკვალიფიცირებულია 2 კალენდარული მატჩით.

სუსტად წარიმართა IV ტურის მატჩი თელავში, სადაც ადგილობრივი „კახეთი" ბოლნისის „სიონს" მასპინძლობდა. არბიტრმა, ზუგდიდელმა გ. გალანდიამ, რომელმაც, კომისრის თქმით, ვერ გაართვა თავი შეხვედრას, ჯერ გააფრთხილა, შემდეგ კი მინდვრიდან გააძევა თელაველი დ. სანიკიძე, რომელიც ორ მატჩს გამოტოვებს. გააფრთხილეს ორივე გუნდის ხელმძღვანელები.

5 თამაშით მიეცა დისკვალიფიკაცია აბაშის „ზანას" ფეხბურთელს დ. ქორჩილავას, რომელმაც სათადარიგო სკამიდან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს.

ტყიბულში სათამაშოდ არ გამოცხადდა სამცხის „აწყური", აგრეთვე, ჭიათურის „მშენებელი" არ ჩავიდა ზუგდიდის „შევარდენთან" შესახვედრად. ორივე გუნდს წაგება ჩაეთვალა.

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**

**29 აპრილს** გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის X ტურის შეხვედრები.

მარცხი განიცადა ჩემპიონატის ლიდერმა ცსკა-მ, რომელმაც საკუთარ მინდორზე მიიღო ერევნის „არარატი". ერევნელმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0. სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: „შახტიორი" (დონეცკი) — „სპარტაკი" (მოსკოვი) 0:0, „მეტალისტი" (ხარკოვი) — „დინამო" (კიევი) 0:2, „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (მინსკი) 2:1, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (მოსკოვი) 2:3.

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 1 მაისისთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ | 8 | 5 | 2 | 1 | 12-6 | 12 |
| ცსკა | 8 | 5 | 1 | 2 | 14-7 | 11 |
| „ტორპედო" | 8 | 5 | 1 | 2 | 9-7 | 11 |
| „სპარტაკი" | 8 | 4 | 2 | 2 | 17-9 | 10 |
| „დინამო" კ. | 8 | 4 | 2 | 2 | 10-4 | 10 |
| „დნეპრი" | 8 | 3 | 3 | 2 | 8-5 | 9 |
| „ჩერნომორეცი" | 9 | 4 | 0 | 5 | 9-10 | 8 |
| „არარატი" | 9 | 3 | 2 | 4 | 6-6 | 8 |
| „პამირი" | 8 | 2 | 2 | 4 | 7-8 | 6 |
| „შახტიორი" | 8 | 2 | 2 | 4 | 3-10 | 6 |
| „მეტალისტი" | 8 | 1 | 3 | 4 | 2-11 | 5 |
| „დინამო" მნ. | 7 | 1 | 2 | 4 | 5-9 | 4 |
| „როტორი" | 7 | 1 | 2 | 4 | 5-12 | 4 |

**„ნაპოლი" — იტალიის ჩემპიონი**

**იტალიის** 1990 წლის ჩემპიონის წოდება მოიპოვა ნეაპოლის „ნაპოლიმ", რომელმაც განვლილ ტურში ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ლაციო". მეორე ადგილი დაიკავა „მილანმა", კლუბს ვერ უშველა შეტევის ლიდერმა მარკო ვან ბასტენმა, რომელიც ბომბარდირთა დავაში პირველია (19 გოლი). საუკეთესო ფორმაში იმყოფება „ნაპოლის" ლიდერი დ. მარადონა, თუმცა, მან ჯერჯერობით მ. ვან ბასტენზე 3 ბურთით ნაკლები გაიტანა.

## სპორტული მაისი

**1-7. ჩოგბურთი.** ვ. ლეჟავას ხსოვნის ღია ტურნირი. **თბილისი.**

**3-7. ცურვა სინქრონული.** 1973 წ. დაბადებულ და უმცროსი ასაკის მოზარდთა სსრკ პირველობა. **თბილისი.**

**3-7. თავისუფალი ჭიდაობა.** საქართველოს X სპარტაკიადა — ფინალი. **თბილისი.**

**3-8. მშვილდოსნობა.** საქართველოს X სპარტაკიადის პროგრამით. **ბათუმი.**

**3-12. ფარიკაობა.** საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ბათუმი.**

**4-6. წყალსათხილამურო სპორტი.** საქართველოს პირველობა. **ფოთი.**

**4-6. შაში.** საქართველოს ჩემპიონატი სწრაფ შაშში. **თბილისი.**

**4-9. ბალახის ჰოკეი.** რესპუბლიკური შესარჩევი პირველობა 1974-1975 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ქუთაისი.**

**5-6. მძლეოსნობა.** საქართველოს პირველობა სეზონის გახსნის პრიზზე. **თბილისი.**

**8-11. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს X სპარტაკიადა, I ზონა. **ხაშური.**

**10-13. მშდ მრავალჭიდი.** საქართველოს სსრ ჩემპიონატის ფინალი. **ტყიბული.**

**10-14. ველოსპორტი, ტრეკი.** **საქართველოს ტელევიზიის პრიზზე** მსოფლიო თასის გათამაშების პროგრამით სპრინტი, გიტი. **თბილისი.**

**11-15. მხატვრული ტანვარჯიში.** საქართველოს X სპარტაკიადა. **თბილისი.**

**11-18. მაგიდის ჩოგბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ბათუმი.**

**12-13. მძლეოსნობა.** შეჯიბრება ვ. სანეევის პრიზზე. **სოხუმი.**

**12-13. მძლეოსნობა.** შეჯიბრება ი. ლესელიძის ხსოვნის პრიზზე. **ლესელიძე.**

**14-18. ძალოსნობა.** საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით. **ხენაკი.**

**15-18. ქართული ჭიდაობა.** საქართველოს X სპარტაკიადა. II ზონა. **ტყიბული.**

**15-20. სპორტული ტანვარჯიში.** საქართველოს X სპარტაკიადა. **ბათუმი.**

**16-20. წყალბურთი.** XII საერთაშორისო ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე. **თბილისი.**

**17-21. ბალახის ჰოკეი.** საქართველოს რესპუბლიკური შესარჩევი პირველობა 1974-1975 წწ. დაბადებულ გოგონათა შორის. **ჩოხატაური.**

**18-20. მძლეოსნობა.** ამიერკავკასიისა და მოლდავეთის რესპუბლიკური სამატჩო შეხვედრა. **თბილისი.**

**18/V-4/VI. ჭადრაკი.** საქართველოს ჩემპიონატი, ვაჟები, უმაღლესი ლიგა. **ზუგდიდი.**

**20-30. სპორტული ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშები.** რესპუბლიკური ფესტივალის პროგრამით სპორტის ეროვნული სახეობების და ხალხური თამაშების დეკადა. **ადგილებზე.**

**22-26. ფრენბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი X სპარტაკიადის პროგრამით — II ზონა. **სოხუმი.**

**22-28. მშვილდოსნობა.** „ა" კლასის საერთაშორისო შეჯიბრება. **სოხუმი.**

**23-27. მძლეოსნობა.** საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა, ფინალი. **თბილისი.**

**23-27. ძიუდო.** საქართველოს X სპარტაკიადა. ფინალი. **ახმეტა.**

**24-28. ათლეტიზმი.** საქართველოს თასი (ქალისმიერ საჭიდში). **თბილისი.**

**25-28. ათლეტიზმი.** საქართველოს ღია ტურნირი (თავისუფალ ვარჯიშებში). **თბილისი.**

**27.V-3.VI. ფრენბურთი.** სსრკ თასი — I ეტაპი, ქალები. **სოხუმი.**

* * *

**შენიშვნა:** ღონისძიებათა პირველი რიცხვები მონაწილეთა ჩამოსვლის დღეა.

საქართველოს ჩემპიონატი რაგბიში

# ისევ აშკარა უპატივცემულობა

**28 აპრილი. ვარკეთილი. „ასოციაცია“ (თბილისი) — „ელმავალი“ (თბილისი) 7:24 (8:8).** თამაში წვიმაში, ატალახებულ მინდორზე მიმდინარეობდა, სწორედ, ამიტომაც ფავორიტ „ელმავალს“ ქვეჯგუფის ლიდერ „ასოციაციასთან“ უპირატესობის დამტკიცება თავიდან გაუჭირდა. პირველი ტაიმის მიწურულამდე „ხანდაზმული“ ასოციაციელები ვაჟკაცურად უმკლავდებოდნენ სახვათაშორისოდ (ყოველ შემთხვევაში, ტრიბუნიდან ასე ჩანდა) მოთამაშე სახელმოხვეჭილ მეტოქეს, რომლის შემადგენლობაშიც ზიმბაბვეში ნამყოფი რვა მორაგბე იყო. „ბებრებმა“ იმდენი მოახერხეს, რომ ტაიმის შუაწელში კიდეც დაწინაურდნენ, როცა გარუჩავამ ოსტატურად დაარტყა არეკნით. ამის შემდეგ „ელმავლის“ მორკინალები მთელი ძალით ამოქმედდნენ. აჯობეს ნაკლებად ნავარჯიშევ მეტოქეს და იერიშის უამრავი შესაძლებლობაც შეუქმნეს თავის უკანა ხაზს, რომელმაც ზედ შესვენების წინ, როგორც იყო, გაარღვია მეტოქის დაცვა და ჩავლეიშვილმა და მარჯანიშვილმა ორი ლელო გაიტანეს.

მეორე ტაიმში „ელმავალმა“ კიდევ უფრო იძალა. იმავე ორმა „ზიმბაბველმა“ — მარჯანიშვილმა და ჩავლეიშვილმა — კიდევ თითო ლელო გაიტანა. ჩავლეიშვილმა ორივე გარდასახა. დარჩენილ დროში რკინიგზელთა ახალბედა მორკინალმა კიკილაშვილმა გუნდის მონაგარს ლელოც შემატა, რასაც ასოციაციელთა ნაგვიანევი იერიშები და გაბრიჩიძის მიერ გატანილი ერთადერთი ლელო მოჰყვა.

ასე წარიმართა შეხვედრა, რომელმაც, სამწუხაროდ, უკვე მერამდენედ წარმოაჩინა რკინიგზელთა მედიდური და აშკარად უპატივცემლო დამოკიდებულება მეტოქის, მაყურებლისა და, საერთოდ, ეროვნული ჩემპიონატისადმი, თითქოს რიგით საწვრთნელ მეცადინეობაზე არიანო, მატჩის მონაწილე „ელმავლის“ 16 მოთამაშეს თერთმეტი (!) სხვადასხვა ფერის დიზაინიანი მაისური ემოსა. როგორც ჩანს, ან ამიერკავკასიის რკინიგზას იმდენად უჭირს, რომ გუნდისათვის, რომლის 12 წევრი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ირიცხება, ერთი ხელი სასპორტო ტანისამოსი რაა, ისიც ვერ შეუძენია, ან გუნდი ამ ტანისამოსს უფრო „მნიშვნელოვანი“ შეხვედრებისათვის (ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომელთათვისაც) ინახავს. თუმცა, აქვე დავძენთ, რომ ზემოხსენებული მიზეზებიდან არც ერთია საპატიო და არც მეორე: ჩემპიონატის მონაწილე ყველა სხვა გუნდი თუ რიგიანადაა „ჩაცმულ-დახურული“, „ელმავალს“ რაღა დაემართა?!

გასაკვირია „ელმავლის“ მოთამაშეთა და მწვრთნელთა საქციელიც. კაცი იფიქრებს, რაგბის პირველად თამაშობენ და შეჯიბრებაშიც პირველად მონაწილეობენო. თავად განსაჯეთ: შესვენებაზე გუნდმა მოედანი დატოვა და დასასვენებლად ტრიბუნებზე (?!) გადავიდა; თამაშის ოქმში მწვრთნელმა გაკრული ხელითა და შემოკლებულად ჩამოწერა მოთამაშეთა გვარები; გუნდის დაჟინებული მოთხოვნით თამაში 40 წუთით ადრე დაიწყო, რის გამოც „ლელოს“ დამჯერმა და სტადიონზე ავდრის მიუხედავად დროზე მისულმა მაყურებელმა მეორე ტაიმსღა მიუსწრო; დაბოლოს, „ელმავალმა“ ათამაშა ორი ახალბედა, რომლებიც განაცხადში შეყვანილი არ ჰყავდა — არადა, განაცხადში მოთამაშეთა დამატებას, აბა, რა დიდი გარჯა უნდოდა: ახალბედებს საექიმო შემოწმება უნდა გაევლოთ მხოლოდ და სათანადო საბუთიც წარმოედგინათ.



რკინიგზელთა არასერიოზულობამ მშვიდად მიმდინარე თამაშში ერთი უსიამო კონფლიქტიც წარმოშვა. მარჯანიშვილი, რომელიც მანამდეც ფიცხობდა და თანაგუნდელებს ქედმაღლურად ექცეოდა, მეორე ტაიმის შუაწელში სრულიად მოულოდნელად მეტოქეებსაც შემოსწყრა. ატყდა გაწევ-გამოწევა. საბოლოოდ, მსაჯმა მარჯანიშვილსა და ასოციაციელ დ. მამრიკიშვილს (ამას მხოლოდ იმიტომ, რომ მოასპარეზეთა თანაფარდობა არ დარღვეულიყო) მოედანი დაატოვებინა, მაგრამ, ღმერთმა უწყის, ვისზე განაწყენებული რკინიგზელი ერთხანს კიდევ ბობოქრობდა და მეტოქეებსა და მაყურებლებს (?!) ემუქრებოდა.

* * *

„უნივერსიტეტ“ — „ზოოვეტის“ თამაში, კოკისპირული წვიმის შედეგად ერთიანად დატბორილი მინდვრის გამო 29 მაისისთვის გადაიდო.

2 მაისს წყალტუბოს „სათაფლია“ უმასპინძლებს ქუთაისის „გელათს“, 3 მაისს კი ვარკეთილში „მიმინო“ და „აკადემია“ მეორე წრის შეხვედრას გამართავენ. ეს თამაში 18 საათზე დაიწყება.

**ზაალ გიგინეიშვილი.**

◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆◆



# დოქტორ იორგას გაკვეთილები

**ცნობილ** სპორტსმენებს ჟურნალისტები ხშირად ეკითხებიან: „როგორ დაიწყო თქვენი გზა დიდ სპორტში?“

ასეთი შეკითხვით მიმართეს თბილისში ჩამოსულ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კარატისტს, ევროპის სამგზის ჩემპიონს, შავი ქამრის მეშვიდე დანის მფლობელ ილია იორგასაც. პროფესორ იორგას — იგი ფიზიოლოგია, მეცნიერებათა დოქტორი — რატომღაც მოეწონა კითხვა. ეტყობა, წარსულის გახსენება სიამოვნებს.

მაშინ ილია იორგა ცხრამეტი წლის ჭაბუკი იყო. თურმე ის და მისი ძმა ვლადიმირი ზღვაზე ისვენებდნენ და პლაჟზე სრულიად შემთხვევით ერთი საინტერესო სცენის მოწმენი გახდნენ: ახალგაზრდა იუგოსლაველმა ფრანგი ქალიშვილის გაცნობა გადაწყვიტა და საკმაოდ თამამად შეუდგა „საქმეს“. ქალიშვილს ჭაბუკი ახლდა, გამხდარი, სუსტი, რომლისთვისაც იუგოსლაველს არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მაგრამ ფრანგმა მოულოდნელად, რაღაც უცნაური, ელვისებური ილეთით ქვიშაზე გულაღმა დასცა აბეზარი იუგოსლაველი. 1959 წელი იყო. იუგოსლავიაში კარატეს შესახებ ყურმოკვრითაც არაფერი იცოდნენ. კარატეს პირველი კლუბი ამ ქვეყანაში ძმებმა იორგებმა ჩამოაყალიბეს.

ჩემი დღევანდელი ჩანაწერი იუგოსლავიაში კარატეს დანერგვის ისტორიას არ ეძღვნება. არა, ცხადია, იუგოსლავია კარგი ქვეყანაა, მაგრამ ძალიან შორია. კაცი იფიქრებს, რომ სპორტის ერთი რომელიმე, ცალკე აღებული სახეობის ისტორია ამ ქვეყანაში ჩვენ შეიძლება მაინცდამაინც არ გვაინტერესებდეს. მაგრამ თბილისიდან ბელგრადამდე ზუსტად იგივე მანძილია, რაც ბელგრადიდან თბილისამდე, ამასთან ძმებმა იორგებმა შეძლეს თავისი სიტყვა ეთქვათ ქართულ კარატეში. ძმები ტრადიციული კარატეს საერთაშორისო ფედერაციის დირექტორატის წევრები არიან, ხოლო ვლადიმირი ამ ორგანიზაციის ევროპის განყოფილების პრეზიდენტია. მათ დიდი წვლილი მიუძღვით იმაში, რომ საქართველოს ტრადიციული კარატეს ფედერაცია იტკფ-ის სუვერენული წევრი გახდა. ეს მართლაც უპრეცედენტო შემთხვევაა.

ამიტომ, ჩემი აზრით, ძმები იორგები იმსახურებენ იმას, რომ მათზე უფრო დაწვრილებით ვილაპარაკოთ.

ილია იორგა ახლა თბილისს ეწვია საქართველოს ფუდოკან-კარატეს ფედერაციის მოწვევით კარატეს ამ სტილის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ სტევენ სიმიჩთან ერთად (სპონსორობა საწარმოო გაერთიანება „თბილმარგარინმრეწვმა“ იკისრა). ათი წლის წინ ილია იორგამ თავად ჩაუყარა საფუძველი „ფუდოკანის“ სტილს, შემოიღო წვრთნის ახალი მეთოდიკა და ჩამოაყალიბა ფედერაცია, რომელიც დროთა განმავლობაში საერთაშორისო ორგანიზაციად გარდაიქმნა. ახლა იგი ოცზე მეტ წევრს აერთიანებს. იორგამ შეინარჩუნა აღმასრულებელი დირექტორის სტატუსი, რამდენადაც, როგორც თავად ამბობს, „ძალიან დაკავებულია სამსახურში“. პრეზიდენტად კი არჩეულია იუგოსლაველი ბიზნესმენი, წარსულში სახელგანთქმული კინორეჟისორი, დიდი ინგმარ ბერგმანის მოწაფე სიმიჩი. საქართველოში ფუდოკან-კარატეს ფედერაცია მხოლოდ შარშან ჩამოყალიბდა. მისი პრეზიდენტია ზურაბ წერეთელი. სხვათა შორის, ბატონი ზურაბი სათავეში უდგას საქართველოს წყალბურთის ფედერაციასაც, მაგრამ, ვფიქრობ, კარატესთან უფრო მჭიდრო კავშირი აქვს — ბრაზილიაში რომ მუშაობდა, იქაური კარატეს ვარსკვლავებისგან იღებდა გაკვეთილებს.

საერთოდ კი — და ეს ყველასთვის ცნობილია, ვინც სერიოზულად არის დაკავშირებული სპორტთან — „დიდი მასწავლებლის“ ერთი გაკვეთილი ზოგჯერ შედარებით დაბალი კვალიფიკაციის მწვრთნელთან თვეების მანძილზე მეცადინეობას უდრის. გაკვეთილები სულ უფრო „დატვირთული“ ხდება, როცა მოწაფემაც და მასწავლებელმაც ერთნაირად კარგად იციან, რისი მიღწევა სურთ. ამიტომ ის სამი ერთობლივი მეცადინეობა, ილია იორგამ რომ ჩაუტარა ქართველ კარატისტებს, მართლაც ძნელია გადაჭარბებით შეაფასო. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია ოფიციალური წყაროებიდან (მომიტევეთ, თუ ვინმე გამომრჩა), საქართველოში დღეს ე. წ. „შავქამრიანი“ კარატისტები, ალბათ თითებზე ჩამოსათვლელნი არიან. კარატეთი გატაცებას კი ლამის საყოველთაო ხასიათი მიეცეს.

„აქ ბევრი ახალგაზრდა გავიცანი, რომლებსაც თამამად შეუძლიათ წარმატებას მიაღწიონ. ვიცი, რომ ვნახე მხოლოდ ნაწილი კარატისტებისა, ყველას ვერ შევხვდი. თუმცა ვარჯიში „ღია“ იყო და ამ მეცადინეობებზე მარტო ფუდოკან-კარატეს ფედერაციის წევრები არ მოუწვევიათ. საერთოდ, სტილური ჩარჩოები ჩვენთან არც ისე მკაცრად არის განსაზღვრული. მესმის, მწვრთნელისთვის მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის შენიშვნის მიღება საკუთარი მოწაფის თანდასწრებით. ქართველები, ისევე, როგორც ჩვენ, იუგოსლაველები, ძალიან თავმოყვარე ხალხი ხართ“.

თავმოყვარეობას რაც შეეხება, ამ საკითხში იორგა, რა თქმა უნდა, მართალია, მაგრამ იქნებ ჯობდა ზოგიერთს საქმის ინტერესები პირად ინტერესებზე მაღლა დაეყენებინა, რათა საქართველოში კარგი სპეციალისტების რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდოს? მარტო იტკფ-ში გაწევრიანება არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოში თავისთავად გაჩნდებიან ძლიერი კარატისტები. ილია იორგას მინიჭებული აქვს გამომცდელის უმაღლესი (ა) კატეგორია, რაც უფლებას აძლევს ერთპიროვნულად ჩაატაროს გამოცდები კარატისტებისთვის ქამრების მისანიჭებლად. სავსებით რეალურია, რომ თავის ერთ-ერთ შემდეგ ჩამოსვლაზე ილია იორგა, მას შემდეგ, რაც სემინარების ციკლს ჩაატარებს, მსგავს გამოცდასაც მოაწყობს. ბევრი კი შეძლებს ამ გამოცდის ჩაბარებას?

დავით სულაქველიძეს, რუსთაველის საზოგადოებასთან არსებული აღმოსავლური ორთაბრძოლების ასოციაციის პრეზიდენტს (ეს ორგანიზაცია კარატისტებს აერთიანებს და ეძებს გზებს კარატეს მეორე საერთაშორისო ფედერაციაში ვუკო-ში გასაერთიანებლად) არც ერთი საწვრთნელი მეცადინეობა არ გაუცდენია. მან მითხრა, ისეთი მაღალი რანგის კარატისტი, როგორიც ილია იორგაა, ჩვენთან ჯერ არ ჩამოსულაო.

ერთი სიტყვით, იუგოსლაველი კარატისტი არა მხოლოდ ჩვენი ფედერაციის აღორძინებაში დაგვეხმარა, არამედ ცდილობს პირველი ნაბიჯების გადადგმაშიც შეგვიწყოს ხელი.

რატომ?

ჩემმა საქინფორმელმა კოლეგამ, გამოცდილმა სპორტულმა ჟურნალისტმა შალვა შალოლაშვილმა სწორედ ასე, პირდაპირ ჰკითხა სტუმარს: ბატონო იორგა, რით აიხსნება თქვენი ამგვარი კეთილგანწყობა საქართველოს მიმართ?

„იუგოსლავიაში რამდენიმე წელიწადს ცხოვრობდა მერაბიშვილების ოჯახი, — თქვა ბატონმა ილია იორგამ. — ისინი იყვნენ პირველი ქართველები, რომელთაც მე შევხვდი და დავუმეგობრდი. ზურაბი ჩემი სტუდენტი იყო ბელგრადის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, გარდა ამისა, ჩემს სექციაში კარატეშიც მეცადინეობდა. მე და ჩემი ძმა — ვლადიმირი ჩემზე ერთი წლით უფროსია, ისიც პროფესორია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი — ძალიან დავუმეგობრდით მერაბიშვილებს. რა თქმა უნდა, გამახარა იმ ამბავმა, რომ სპორტს არ ივიწყებენ, ზურაბი ტრადიციული კარატეს ეროვნული ფედერაციის აღმასრულებელ დირექტორად აურჩევიათ. ახლა ჩემთვის ყველა ქართველი კარატისტი ახლობელია, აქ ყველა ჩემი მეგობარია, მეგობრობა კი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია“.

აი, თურმე საიდან მოდის ეს კეთილგანწყობა.

შედეგად, საქართველო საბჭოთა კავშირში შემავალი პირველი რესპუბლიკაა, რომელიც კარატეს საერთაშორისო ფედერაციის (იტკფ) სუვერენული წევრი გახდა, რითაც შექმნა პრეცედენტი და ერთგვარ მაგალითად იქცა სხვა ფედერაციებისა თუ რესპუბლიკებისათვის.

თუმცა, ალბათ უკვე იცით ეს ყველაფერი...

**პეპი ბოჭორიშვილი.**



**დევიდ რობინსონი — საუკეთესო ახალგაზრდათა შორის**

**ნიუ-იორკი.** მიმდინარე სეზონში პროფესიული კალათბურთის საუკეთესო ახალბედად დასახელებულია — „სან-ანტონიო სპერსის“ წარმომადგენელი დევიდ რობინსონი. ამ 216 სანტიმეტრის სიმაღლის კალათბურთელს ყოველ მატჩში გუნდისთვის საშუალოდ 24,3 ქულა მოაქვს. იგი ზუსტად ტყორცნის კალათში (53,1 პროცენტი) და საშუალოდ ყოველ მატჩში ფარიდან ასხლეტილ თორმეტ ბურთს ეუფლება.

რობინსონს ხმა მისცა და პირველი ადგილი მიაკუთვნა გამოკითხვაში მონაწილე ყველა 92-მა სპორტულმა მიმომხილველმა. ასეთი აბსოლუტური შედეგი 1984 წლის შემდეგ პროფესიული კალათბურთის არც ერთ ახალბედას არ ჰქონია. ჟურნალისტები რომ არ შემცდარან, ეს შუადასავლეთ დივიზიონის ტურნირმაც ცხადყო. რობინსონმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი კლუბის წარმატებაში, რომელმაც „პლეიოფის“ სერიის მატჩებში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. „სან-ანტონიოს“ ამჟამად „დენვერ ნაგეტსთან“ უწევს თამაში.

●●●●●●●●●●●●●●●●●

**„სპორტლოტო“**

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1990 წლის მე-17 ტირაჟი.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 21 (ცურვა), 22 (წყალში ხტომა), 25 (ციგაობა), 31 (ფარიკაობა), 44 (ჭადრაკი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან;** 3 (ბობსლეი), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 12 (ტანვარჯიში), 16 (ცხენოსნობა), 30 (ძალოსნობა).

---

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამო შაბათს, 5 მაისს.

---

რედაქტორის მოადგილე
**უ. ჭიჭინაძე.**

**ფეხბურთი**

**საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი**

**(II ჯგუფი, აღმოსავლეთ ქვეჯგუფი)**

4 მაისი

ასკ-ს სტადიონი

(ბოჭორმის ქ. №18)

„მრეტები“ (თბილისი) — „ერწუხი“ (წნორი)

დასაწყისი 17 საათზე.

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „შართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08779